ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის წევრი

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.09.2013

საჩივრის რეგისტრაციის N125/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ე. კ-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. კ-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 23 სექტემბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ბ-ემ და მოითხოვა ადვოკატ ე. კ-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის თაობაზე სამოქალაქო დავაში საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით აიყვანა ადვოკატი ე. კ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ე. კ. მისთვის შეუტყობინებლად წერდა შუამდგომლობებსა და განცხადებებს მის სახელზე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მასსა და მის მეუღლეს, ბ. ბ-ეს შორის მიმდინარე სამოქალაქო დავის დროს, თ. ბ-ემ, მისი მეუღლის ძმამ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას საქმის განმხილველ მოსამართლეს მიმართა სხდომის გადადების შუამდგომლობით, ვინაიდან მისი განცხადების თანახმად ბ. ბ-ემ, მისმა ძმამ, ისესხა გარკვეული ოდენობის თანხა მისგან, შესაბამისად, აღნიშნული თანხის დაბრუნების მიზნით სურდა სასამართლოს პროცესში ჩართვა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნული ფაქტი ადვოკატმა არ აცნობა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ბ. ბ-ეს ძმის ვალი არ ჰქონია, ხოლო ადვოკატი ე. კ. მოპასუხე მხარესთან ერთად მოქმედებდა მის წინააღმდეგ. კერძოდ, ადვოკატმა ხელი შეუწყო სხვა დავის წარმოებას ბ. და თ. ბ-ეებს შორის, რაც საბოლოოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დასრულდა, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე სადავო ქონება იქამდე გაიყიდა, ვიდრე საჩივრის ავტორსა და მის მეუღლეს შორის მიმდინარე დავაზე მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ისარგებლა მისი ნდობით, დაარღვია კონფიდენციალურობის პრინციპი და მოპასუხე მხარის გავლენის ქვეშ მოექცა, რამაც განაპირობა საჩივრის ავტორის დაზარალება 27000 აშშ დოლარის ოდენობით.

1.6 საჩივრის ავტორთან საპროცესო კოლეგიის გასაუბრება შედგა 2013 წლის 25 ნოემბერს, სადაც საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მისთვის მისი მეუღლის წინააღმდეგ ძმის მიერ სარჩელის შეტანისა და დაკმაყოფილების შესახებ პირველად ცნობილი გახდა საჯარო რეესტრში, სადაც გაიგო, რომ ბინა უკვე გასხვისებული იყო.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი დავის განხილვისას თანასაკუთრების გაყოფის თაობაზე სხდომის მომდინარეობისას მეორე მხარემ სასამართლოში საქმისწარმოების შეჩერების საფუძვლისთვის წარმოადგინა ახალი სარჩელი. საქმისწარმოება შეჩერდა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ბინის გასხვისების შესახებ სააპელაციო სასამართლოში პროცესის დასრულების შემდეგ შეიტყო. სააპელაციო სასამართლოში კი მის ინტერესებს სხვა ადვოკატი წარმოადგინა, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ ე. კ. სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი იყო და არ გააჩნდა საქმის წარმოების უფლებამოსილება ზემდგომ ინსტანციებში. ე. კ. მხოლოდ სხდომას ესწრებოდა.

1.9 საჩივრის ავტორი 2014 წლის 21 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადებულა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ე. კ-ის მიერ 2013 წლის 11 ნოემბერს წარმოდგენილი ახსნა–განმარტების თანახმად, 2012 წლის სექტემბრის თვეში საჩივრის ავტორმა აიყვანა ადვოკატად და აღნიშნულთან დაკავშირებით გაფორმდა მინდობილობა.

2.2 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურეობა გაუწია სამ სამოქლაქო საქმეზე, კერძოდ ერთი მათგანი ეხებოდა უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობას, მეორე ქორწინების შეწყვეტასა და ბავშვის მიკუთვნებას, ხოლო მესამე ალიმენტის დანიშვნის საკითხს. ადვოკატის განცხადებით, სამივე საქმე მოგებულია ყველა ინსტანციაში და საადვოკატო მომსახურეობის ხარჯი 250 ლარი დაეკისრა მოწინააღმდეგე მხარეს გადასახდელად.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ბ. ბ. გაიცნო 10 წლის წინ ჭადრაკის ტურნირზე და მას შემდეგ ურთიერთობა არ ჰქონია აღნიშნულ პიროვნებასთან, ხოლო რაც შეეხება თ. ბ-ეს, ადვოკატის შვილი – ი. კ. ფორმა ნომერი 100–ის წამოსაღებად მივიდა მასთან.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მან უზრუნველყო საჩივრის ავტორის ინფორმირება თ. ბ-ის მხრიდან ვალის აღების თაობაზე. საჩივრის ავტორისთვის ცნობილი იყო ასევე მოწმეების დაკითხვის თაობაზე უარის თქმის შუამდგომლობის შესახებ.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ლ. ბ-ემ იცოდა, რომ ბ. ბ-ეს გააჩნდა ძმის ვალი. ყველა სხდომას ერთად ესწრებოდნენ და შუამდგომლობებსაც ერთად წერდნენ.

2.6 ადვოკატის განცხადებით, არამართებულია საჩივრის ავტორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ბ. ბ-ესთან ერთად მოქმედებდა და ხელი შეუწყო მოპასუხე მხარის მხრიდან 24000 აშშ დოლარის მითვისებას.

2.7 ადვოკატის განცხადებით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ბინაზე თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე, აღნიშნული გადაწყვეტილების ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრების პერიოდში, თ. ბ-ემ ისარგებლა სიტუაციით და სარჩელი შეიტანა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რომლითაც ითხოვდა ბ. ბ-ის ვალის, 24000 აშშ დოლარის დაბრუნებას. სასამართლომ დაჩქარებული წესით განიხილა მათი საქმე და სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ გასცა სააღსრულებო ფურცელი. აღმასრულებელმა, მიუხედავად იმისა რომ ბინაზე ყადაღა იყო დადებული, საკუთარი ინიციატივით მოხსნა ყადაღა და აუქციონის წესით მოახდინა ბინის რეალიზაცია, რის შედეგადაც ლ. ბ. დარჩა ბინის გარეშე.

2.8 ადვოკატის განცხადებით, ლ. ბ-ემ უნდობლობის მოტივით გააუქმა მასთან დადებული ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურეობის თაობაზე და აღარ დაელოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას, ვინაიდან საჩივრის ავტორის აზრით ბ. და თ. ბ-ეების მხრიდან აღნიშნული ქმედების განხორციელების ხელშწყობა ადვოკატის მეშვეობით მოხდა.

2.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, აღმასრულებელმა გამოიჩინა მინდობილ საქმეზე ზერელე დამოკიდებულება. მათ მიერ დადებული ყადაღა მოხსნა და ბინა გაყიდა აუქციონის წესით ისე, რომ აღნიშნულის შესახებ არ აცნობა. მათვის ყადაღის მოხსნის შესახებ დროულად, რომ ეცნობებინა სააღსრულებო წარმოებას შეაჩერებდნენ და ლ. ბ. ბინის გარეშე არ დარჩებოდა.

2.10 ადვოკატის განცახდებით, საჩივრის ავტორის საჩივარი არის უკანონო და უსაფუძვლო, შესაბამისად ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ფაქტი.

2.11 ადვოკატი 2014 წლის 21 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადებულა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2013 წლის 04 დეკემბერს მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ე. .კ- ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ე. კ. საჩივრის ავტორს სამოქალაქო საქმეზე უწევდა საადვოკატო მომსახურებას იმ დროს, როდესაც სპეციალიზირებული იყო სისხლის სამართლის კუთხით და ამასთან ადვოკატის სპეციალიზაციაზე კლიენტი წინასწარ არ იყო ინფორმირებული, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი.

3.3 ასევე იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ ე. კ-ისათვის ცნობილი იყო ბ. ბ-ესა და თ. ბ-ეს შორის მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის პროცესის პარალელურად ცალკე სამოქალაქო დავის დაწყების თაობაზე და მან ეს გარემოება არ აცნობა კლიენტს და არ იმოქმედა სათანადოდ, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფატობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი ე. კ. საჩივრის ავტორს უწევდა იურიდიული დახმარებას სამოქალაქო საქმეზე. მათი შეთანხმების საგანი არ გახლდათ ბ. ბ-ესა და თ. ბ-ეს შორის მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის პროცესის პარალელურად ცალკე სამოქალაქო დავის დაწყების მონიტორინგი.

4.1.2 მხარეებს შორის არ გაფორმებულა რაიმე წერილობითი ხელშეკრულება ან შეთანმება.

4.1.3 ადვოკატის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მომჩივანის მიერ სანოტარო წესით იქნა განსაზღვრული და მის შინაარსში არ მოიპოვება ადვოკატის სტატუსის მაჩვენებელი ინფორმაცია.

4.1.4 ე. კ. არის ადვოკატი მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, სიითი N.

4.1.5 ადვოკატი მომჩივანს წარმომადგენლობას და სხვა იურიდიულ დახმარებას უწევდა სასამართლო სამოქალაქო სამართალწარმოებისას.

4.1.6 ვერ დადგინდა, რომ ადვოკატმა იცოდა პარალელური სამოქალაქო დავის შესახებ.

საქმეზე ეთიკის კომისიას არ გააჩნია სადაო გარემოებები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატთა ერთიანი რეესტრი
2. 2012 წლის 27 ივლისის რწმუნებულება
3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 სექტემბრისა და 19 ოქტომბრის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმები
4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება
5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 იანვრის სხდომის ოქმი
6. მხარეთა წერილობითი და ზეპირი პოზიციები (2013 წლის 23 სექტემბრის საჩივარი, საჩივრის ავტორთან საპროცესო კოლეგიის 25 ნოემბრის სხდომის ჩანაწერი, ადვოკატის 11 ნოემბრის ახსნა-განმარტება).

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ არ დასტურდება ადვოკატ ე. კ-ის მიერ ბ. ბ-ესა და თ. ბ-ეს შორის მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის პროცესის პარალელურად ცალკე სამოქალაქო დავის დაწყების თაობაზე ინფორმაციის ქონა, თუმცა კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ე. კ-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა აღძვრის მეორე საფუძველთან მიმართებით, კერძოდ ადვოკატი ე. კ. ლ. ბ-ეს სამოქალაქო საქმეზე უწევდა საადვოკატო მომსახურებას იმ დროს, როდესაც სპეციალიზირებული იყო სისხლის სამართლის კუთხით და კლიენტი წინასწარ არ იყო ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან არ დადგინდა, რომ ადვოკატ ე. კ-ისათვის ცნობილი იყო ბ. ბ-ესა და თ. ბ-ეს შორის მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის პროცესის პარალელურად ცალკე სამოქალაქო დავის დაწყების თაობაზე, ადვოკატ ე. კ-ის მიერ არ დარღვეულა შემდეგი ნორმები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

6.1.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ე. კ-ის მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლები, ვინაიდან ადვოკატი ლ. ბ-ეს სამოქალაქო საქმეზე უწევდა საადვოკატო მომსახურებას იმ დროს, როდესაც სპეციალიზირებული იყო სისხლის სამართლის კუთხით:

6.2.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.2.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

6.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

6.3 განხილვის კოლეგია სრულად იზიარებს საპროცესო კოლეგიის მოტივაციას და მიიჩნევს, რომ დადასტურებულია ადვოკატ ე. კ-ის, როგორც არა სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე

ადვოკატის სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოებაში კლიენტის წარმომადგენლობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კლიენტის სურვილი და შეკვეთა იყო, სახეზეა სულ მცირე უნებლიე საფრთხის არსებობა, რომ შესაძლებელია კლიენტის ინტერესები კვალიფიციურად არ იყოს წარმოდგენილი, რაც აისახება ადვოკატის პროფესიის ნდობაზე. სწორედ რომ მიზნობრივად და კანონით არის დაწესებული სტანდარტი იმისა, რომ ადვოკატი უფლებამოსილი იყოს ამა თუ იმ სამართალსექტორში და სასამართლოს წინაშე კვალიფიციურად წარმოადგინოს/დაიცვას კლიენტის ინტერესები. მოცემული სტანდარტი იცავს კლიენტს არაკვალიფიციური წარმომადგენლობისაგან, პროფესიული თვითნებობისაგან.

6.4 კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით.

6.5 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს.“ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზირებული. მოთხოვნებს ადვოკატისთვის ადგენს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებას, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმადაც, საადვოკატო საქმიანობის დაწყებამდე ადვოკატს უნდა გააჩნდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება, რაც აღირიცხება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების იმპერატიული მოთხოვნები, მიზნად ისახავს, რომ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არ დაიშვას არაკვალიფიციურ პირთა გაწევრიანება, მათთვის ადვოკატის სტატუსის მინიჭება და ამით პოტენციურ კლიენტთა ინტერესების დაზიანება. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, წარმოადგენს ერთ-ერთ მაკონტროლებელ ინსტრუმენტს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის, რათა უზრუნველყოს მისი წევრების მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების კვალიფიკაციის სტანდარტთან შესაბამისობა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ პოტენციური კლიენტის ინტერესები დაცული იქნება კვალიფიციურად სამივე ინსტანციის სასამართლოში.

6.6 ეთიკის კომისიამ, 2011 წლის 26 აგვისტოს N030/11 გადაწყვეტილებით, ,,საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის

მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის - შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

6.7 ადვოკატმა ე. კ-ემ ზეპირი შეთანხმებისა და 2012 წლის 27 ივლისის გაცემული რწმუნებულების საფუძველზე აიღო ვალდებულება ლ. ბ-ის ინტერესები წარმოედგინა სამოქალაქო საქმეებზე. ე. კ. არის ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითი №/. ადვოკატთა ასოციაციამ და კანონმა მას სისხლის სამართლის მიმართულებით მიანიჭა კვალიფიკაცია და ადვოკატი ვალდებულია კლიენტს, როგორც ადვოკატმა, მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით, ხოლო თუ ის მომსახურებას ახორციელებს სამოქალაქო საქმეზე, მან თავიდანვე უნდა განუმარტოს კლიენტს, რომ მას სპეციალიზაცია მინიჭებული აქვს სისხლის სამარათალში და მას, მხოლოდ როგორც წარმომადგენელს აქვს უფლება წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის არქონისას არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი, რაც კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. საპროცესო კოლეგია, ასევე, აღნიშნავს, რომ საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში ადვოკატი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, ვერ შეძლებს წარმოადგინოს საჩივრის ავტორის ინტერესები, რაც წარმოშობს სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას, რის შესახებაც კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა კლიენტს მომსახურება გაუწიოს იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც მინიჭებული აქვს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-11 მუხლის მე–8 ნაწილით, 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33–ე მუხლით, 35–ე მუხლით, 38–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ე. კ-ის /სიითი №/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.

3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/